პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 85 (6150) 30 1978 წ. აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 28 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:1 (0:0).

„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი (დურდიაძე), კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„ჩერნომორეცი": რომენსკი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, კაჩური, პლოსკინა, ფეიდმანი, სოკოლოვსკი (კარპიუკი), უსტიმჩიკი, გოლოვინი, ესებუა (ნაპრეევი), იშჩაკი.

მსაჯი ვ. ბასკაკოვი (მოსკოვი).

# პარტიის ნდობას გავამართლებთ!

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

## ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობის დელეგატები ქვეყნის კომკავშირელთა, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით სულითა და გულით უსაზღვრო მადლობას უხდიან და ერთგულებას უცხადებენ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

კომკავშირელებმა, მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ უდიდესი სიამაყით მიიღეს და ცხოვრების, ბრძოლისა და შრომის სამოქმედო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის შთამაგონებელი მისალმება. ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნული, მამობრივად გულთბილი სიტყვა, პარტიის სიტყვა აღგვაფრთოვანებს, ახალ ძალებს გვმატებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

უსაზღვროა ჩვენი სიყვარული ლენინის პარტიისადმი! სამოცი გმირული წელია კომუნისტები მტკიცედ მიუძღვიან საბჭოთა ხალხს ოქტომბრის გზით, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ. სამოცი გმირული წელია პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური კურსით მიდის მისი საიმედო თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი — კომკავშირი! პარტიული ხელმძღვანელობაა კომკავშირის ძალა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ტიტანური აღმშენებლობითი საქმიანობა, რევოლუციური სიმტკიცის, გამჭრიახობის, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითია.

რევოლუციის საქმისადმი, ლენინის საქმისადმი ერთგულების ნიმუში გახდა საბჭოთა ახალგაზრდობისათვის მგზნებარე კომუნისტის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ცხოვრების გზა. მუშათა კლასის სახელოვანი შვილი, ოციანი წლების კომკავშირელი, პირველი ხუთწლედების აქტიური მშენებელი, დიდი სამამულო ომის უშიშარი კომისარი, თანამედროვეობის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ლეონიდ ილიას ძე მთელი თავისი ცხოვრებით ახალგაზრდობას ასწავლის ლენინურად შრომას, ლენინურად ბრძოლას, ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს ლენინურად სიყვარულს. ახალგაზრდობის იდეური წრთობის დიდი სკოლა გახდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შრომები და გამოსვლები, მისი შეხვედრები და საუბრები ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან.

ჩვენ, შვილობრივ, მხურვალე და გულითად მადლობას ვუხდით კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ახალგაზრდობის მზრუნველ და ბრძენ დამრიგებელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მოზარდი თაობისადმი მამობრივი ყურადღებისათვის.

ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვითაა განმსჭვალული სსრ კავშირის ძირითადი კანონი, რომელიც ახალგაზრდობას ყველა შესაძლებლობას აძლევს ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის, საზოგადოების ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ფართო მონაწილეობისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუცია, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები ჩვენს გულში გვინერგავენ სიამაყეს სოციალისტური სამშობლოსათვის, დიდი საბჭოთა ხალხისათვის.

გმადლობთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისათვის, მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ჰუმანური კონსტიტუციისათვის. საბჭოეთის ახალგაზრდა თაობა დიდი პასუხისმგებლობითა და ღირსეულად შეასრულებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის მოვალეობებს.

ექვსი ათწლეულია ატარებენ კომკავშირული თაობები ლენინის ანდერძის, დიდი ოქტომბრის დროშის ერთგულების ესტაფეტას. სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირისათვის არა არის რა იმაზე უფრო პასუხსაგები და საპატიო ამოცანა, ვიდრე ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური იდეურობის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების, პროლეტარული სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ჩვენ კვლავაც აქტიურად დავეხმარებით პარტიას, რათა ქალიშვილები და ჭაბუკები შეიარაღონ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნით, ჩამოუყალიბონ მათ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, აღვზრდით ახალგაზრდობას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალიზმის მონაპოვრების დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით. ჩვენ კვლავაც პირნათლად შევასრულებთ ლენინის უკვდავ ანდერძს „ვისწავლოთ კომუნიზმი".

საბჭოთა ახალგაზრდობის ახლანდელი თაობა სათუთად იცავს და ავითარებს პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს. ახალგაზრდა მუშები და სოფლის მშრომელები, მეცნიერები და სტუდენტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მეომრები, მოსწავლეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ განამტკიცონ ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, გაამრავლონ ჩვენი საზოგადოების სულიერი ღირებულებანი, კარგად ისწავლონ, იმუშაონ დღეს გუშინდელზე უკეთ, და ხვალ დღევანდელზე უკეთ.

კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები დიდი აღმავლობით შრომობენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მონაწილეობს რა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, კომკავშირმა გაშალა პატრიოტული მოძრაობა „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!" ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლებთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, მუშაობის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის მესამე წლის და მთელი ხუთწლედის გეგმები. დამკვრელური შრომით, მეცნიერებასა და ტექნიკაში, სწავლასა და მხედრულ სამსახურში, მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში ახალი მიღწევებით აღნიშნონ ლენინური კომკავშირის 60 წლისთავი.

დასასრული მე-2 გვ.



# ახალგაზრდა ფორვარდის წვლილი

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისის „დინამოს" თამაშით უკმაყოფილო მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გუნდის არც ერთი გულშემატკივარი. დინამოელებმა დროზე გამოასწორეს ის ხარვეზები, რომლებიც ადრე გაზაფხულზე ჰქონდათ და სეზონის ძირითად ტურნირს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლიათ დახედოთ გათამაშების ცხრილს, სადაც კოლექტივი ერთადერთი დაკარგული ქულით პირველ ადგილზეა და იმ დაკარგული ქულის არსიც კარგად იცით: მოსკოვის „დინამოსთან" თბილისელებმა შესანიშნავად ითამაშეს და მოწინააღმდეგემ მხოლოდ სასწაულით იხსნა ის ძვირფასი ქულა.

რიგით მესამე გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამომ" IV ტურში და შეინარჩუნა ლიდერის პოზიციები. იოლ გამარჯვებას ოდესის „ჩერნომორეცთან" არც მოელოდა ვინმე, ვინაიდან ამ გუნდს მდიდარი ფიზიკური შესაძლებლობები აქვს იბრძოლოს ძალების სრული მობილიზებით. მაგრამ მოგება ძალიან გაჭირდა და 2 ქულის აღებას კოლოსალური ენერგია მოუნდა, ამასთან იყო მომენტი, როცა ვაგებდით კიდეც მატჩს: ანგარიში ოდესელებმა გახსნეს.

საერთო უპირატესობა მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან აიღეს ხელთ და მაშინვე შეუდგნენ „ჩერნომორეცის" კარის შტურმს. დაზვერვაზე დრო არ დაკარგულა: შეტევა წარმოებდა ფართო ფრონტით, ფლანგებზე ხშირად გადიოდნენ განაპირა მცველებიც. ცენტრში მუდამ მოქმედებდა აქტიური „საპატრულო" ჯგუფი, გოლის გასატანად ყველაფერი მზად იყო, გარდა... კარში ზუსტი დარტყმისა. წუთი წუთს მისდევდა, სახიფათო მომენტები კალეიდოსკოპური სიხშირით ცვლიდა ერთმანეთს, შედეგი კი არ ჩანდა. კარის უშუალო სიახლოვეს, თითქმის მეკარის წინ დაუღალავად ასრულებდა მანევრებს შენგელია. სხვადასხვა მანძილიდან ურტყამდნენ ყიფიანი, გუცაევი, ქორიძე, ჩივაძე. რომენსკი იოლად გამოდიოდა ურთულესი სიტუაციებიდან.

ამ ვითარებაში კვლავ, უკვე მერამდენედ თქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა ახალგაზრდა ფორვარდმა შენგელიამ. სწორედ მისი დაუღალავი, მუდამ აგრესიული მოქმედების შედეგია ის, რომ შესაძლებელი შეიქნა ოდესელთა გაძლიერებული დაცვის რიგების დაძლევა. ობიექტური სტატისტიკა ნათლად მეტყველებს შენგელიას დიდ წვლილზე თბილისის „დინამოს" წლევანდელ წარმატებაში: სადღეისოდ თბილისის „დინამომ" 4 მატჩში 6 ბურთი გაიტანა, რომელთაგან 5 ეკუთვნის შენგელიას. უკეთესი საატესტაციო არგუმენტების მოყვანა სწორედ რომ ძნელია!

მიმდინარეობდა მატჩის 48-ე წუთი, როცა ოდესელებმა ზედიზედ ორჯერ მოაწოდეს კუთხური, მეორე მოწოდებისას ძალზე სწრაფად, ეფექტურად ითამაშა ლეშჩუკმა, დაასწრო ყველას და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი მასპინძელთა კარში — 1:0.

მაგრამ იმავე წუთს, სანამ ტრიბუნებზე ჯერ კიდევ ცხელ გულზე განიცდიდნენ ამ გოლით გამოწვეულ უსიამოვნებას, თბილისელებმა განახორციელეს კონტრშეტევა, შენგელიამ ზუსტად შეარჩია ადგილი და ასევე ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:1.

გამარჯვების გოლი შენგელიამ გაიტანა რამდენიმე სახიფათო რეიდის შემდეგ, 74-ე წუთზე: წამით მოძებნა ხელსაყრელი პოზიცია, ყიფიანმა ოსტატურად გადასცა მას ბურთი და ახალგაზრდა ფორვარდმა კიდევ ერთხელ უშეცდომოდ შეასრულა თავისი პასუხსაგები როლი — 2:1.

**რ. ქორიძე.**

განვლილი მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ სცნო ვ. ლეშჩუკი და რ. შენგელია.

• • •

სურათზე: რ. შენგელიას მეორე ბურთი გააქვს „ჩერნომორეცის" კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

28 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის მიერ არჩეული სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ბ. ნ. პასტუხოვი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეული არიან ვ. ვ. გრიგორიევი, ვ. ა. გუსეინოვი, ა. პ. დერევიანკო, ა. ვ. ჟუგანოვი, ვ. მ. მიშინი, ზ. გ. ნოვოჟილოვა, დ. ა. ოხრომიი, ა. ვ. ფედულოვა, დ. ნ. ფილიპოვი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩიეს ა. გ. ბორცოვი, ვ. გ. ვოლჩიხინა, ვ. ნ. განიჩევი, ე. გ. გაფურჟანოვი, ვ. ს. გლებოვი, ა. ნ. კოლიაკინი, ა. ი. კორნიენკო, ი. ე. ლისენკო, ვ. გ. სიდორიკი, კ. ს. სულტანოვი, გ. ი. იანაევი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად აირჩიეს ნ. ე. ანდრიანოვი, ვ. ს. ბალტრუნასი, ვ. პ. გროშევი, ვ. ა. კატუნინი, ს. პ. კულეშოვი, კ. მ. პლატონოვი, ბ. ნ. როგატინი.

გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ბ. არსენტიევი.

(საქინფორმი).

# პარტიის ნდობას გავამართლებთ!

დასასრული

სოციალიზმმა საბჭოთა ახალგაზრდობას საშუალება მისცა დაეწაფოს მეცნიერებისა და კულტურის მთელ სიმდიდრეს, რომელიც კაცობრიობას დაუგროვებია. კომკავშირული ორგანიზაციები კვლავაც განუვითარებენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მაღალ მორალურ თვისებებს, სულიერად ლამაზებსა და ფიზიკურად სრულყოფილებს გახდიან მათ, განუვითარებენ სწავლისადმი სწრაფვას.

კომკავშირს თავის საარსებო საქმედ მიაჩნია ზრუნვა სკოლისათვის და ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლებისათვის. პარტიამ აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობისათვის მოზარდი თაობის მომზადების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ ჩავუნერგავთ ახალგაზრდობას შრომის სიყვარულსა და პატივისცემას, მოვამზადებთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ღირსეულ შევსებას.

პარტიამ დაავალა კომკავშირს იყოს ნორჩ პიონერთა ხელმძღვანელი. კომკავშირული კომიტეტები კიდევ მეტი ენერგიით წარმართავენ და სრულყოფენ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საქმიანობას, უფრო აქტიურად დაეხმარებიან სკოლას, მასწავლებელს, ნორჩ მოქალაქეთა აღზრდასა და ყოველმხრივ განვითარებაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში არის ნაკლოვანებანი, გამოუყენებელი რეზერვები. სრულიად საკავშირო ალკკ კომიტეტები მტკიცედ იბრძოლებენ კომკავშირის ყველა რგოლის შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის, განავითარებენ საზოგადოებრივ აქტიურობას, აამაღლებენ კომკავშირელთა ორგანიზებულობასა და დისციპლინას. კომპლექსურად იმუშავებენ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე.

ახალგაზრდობა და მშვიდობა, მშვიდობა და სოციალიზმი — ეს ცნებები განუყოფელია. საბჭოთა ახალგაზრდობა მთლიანად იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, მასობრივი მოსპობის იარაღის წარმოების აკრძალვა. ახალგაზრდა თაობა დიდად მადლიერია ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა, რომლის დაუცხრომელი მოღვაწეობა ქვეყნად მტკიცე მშვიდობის განმტკიცებას ემსახურება.

თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული კომკავშირი განამტკიცებს და განავითარებს მეგობრობასა და თანამშრომლობას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდობის მოძმე კომუნისტურ კავშირებთან, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ახალგაზრდობასთან.

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები აქტიურად ემზადებიან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა კუბის მე-11 მსოფლიო ფესტივალისათვის. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ეს ფორუმი გადაიქცეს ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად, განამტკიცოს ახალგაზრდობას დემოკრატიული მოძრაობის ყველა რაზმის ერთიანობა.

დიდი და ურყევია ჩვენი ერთგულება მამათა საქმისადმი, მონოლითურია საბჭოეთის ყველა თაობის ერთიანობა! აქ, კრემლის ყრილობათა სასახლეში, დიდების შარავანდედით მოსილი წითელი დროშების ქვეშ სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი ფიცს აძლევს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ მუდამ ერთგული იქნება კომუნიზმის ნათელი იდეალებისა!

საქვეყნოდ აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა ყველგან და ყველაფერში უერთგულებს დიდი ლენინის ანდერძს, პარტიის საქმეს, ოქტომბრის საქმეს, ახალი პატრიოტული საქმეებით განამტკიცებს და ამრავლებს საყვარელი სამშობლოს დიდებასა და ძლიერებას!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!

გაუმარჯოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და მის მეთაურს, ლენინის საქმის გამოჩენილ განმგრძობს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

# სტუდენტური სპორტის პრობლემები

## „ბურევესტნიკის“ საბჭოს III პლენუმი

გაიმართა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი. მოხსენებით „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ“ გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, დოცენტი ა. კოტრია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი რ. გრძელიძე.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ კოლექტივს ბევრჯერ დაუცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, — აღნიშნა ა. კოტრიამ — ინსტიტუტის სპორტსმენებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებსა თუ კონკურს-დათვალიერებებში. ისინი ოთხჯერ იყვნენ სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონები, სამჯერ კი — პრიზიორები. ათჯერ მოიპოვეს სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების გარდამავალი თასი.

მშობლიური სასწავლებლის სპორტულ ღირსებას წარმატებით იცავენ შ. მორჩილაძე, ნ. მოდებაძე, ა. ანპილოგოვი, გ. მაკასარაშვილი, თ. დონღუზაშვილი, დ. კოდანოვი და სხვა ცნობილი სპორტსმენები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ, უკანასკნელ წლებში თანდათან იკლო ჩვენი ინსტიტუტის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წარმატებებმა. საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგა დატოვა ოთხმა გუნდმა, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში უხეიროდ ასპარეზობს სტუდენტ-კალათბურთელთა კოლექტივი, ჩვეული გამარჯვებებით ვერ გვახარებენ ჩვენი მოჭიდავეები, მოფარიკავეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ყოველივე ეს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დონის დაცემაზე მეტყველებს, თუმცა ამაში მარტო მწვრთნელ-აღმზრდელებსა და სპორტსმენებს ვერ დავადანაშაულებთ.

ცნობილია, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გასაშლელად აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო. აქ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს სპორტული ბაზები. ამ თვალსაზრისით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩვენი სტუდენტების, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მრავალათასიან არმიას თითო-ოროლა სპორტული ბაზა და ნაგებობა ემსახურება. ამიტომაა, რომ ტიპიური ნორმების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. პარადოქსია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების ნაცვლად, ზოგჯერ არსებული მოედნებიც გამოდიან მწყობრიდან. მაგალითად, ენერგეტიკული ფაკულტეტის კორპუსისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით გაუქმდა კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაბა ლესელიძეში გამოეყო 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მოსაწყობად. მას შემდეგ უკვე 10 წელიწადი (!) გავიდა, მაგრამ მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა.

პროფესორმა რ. გრძელიძემ ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე. აქაური ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წარმატებებთან ერთად შეეხო იმ ნაკლოვანებებს, რაც შეიმჩნევა სტუდენტთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის, მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადების საქმეში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ სახელოვან სასწავლებელს დღემდე არ გააჩნია ფეხბურთის სტადიონი, საცურაო აუზი და სხვა აუცილებელი სპორტული ბაზა. საშველი არ დაადგა გუდაურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობას.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ფ. ციბაძემ, შ. ტატიშვილმა (ორივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. ძიძიგურმა (გორის პედაგოგიური ინსტიტუტი), რ. სვანიშვილმა (სამედიცინო ინსტიტუტი) და სხვებმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. ივანოვი. მან წაიკითხა ბრძანება „ბურევესტნიკის“ საქართველოს ორგანიზაციის სტუდენტური სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოების შესახებ. საქართველოს ბურევესტნიკელებს ეს საპატიო ჯილდო გადაეცათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1977 წლის გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის და ამ სპორტსაზოგადოების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში II ადგილის დაკავებისთვის.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტური დღეები, რომლის საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამაში სხვა კულტმასობრივ ღონისძიებებთან ერთად შედის უნივერსიტეტის ღია სპარტაკიადაც.

ფიზკულტურისა და სპორტის კათედრა ყველაფერს აკეთებს სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარებისთვის.

უკვე გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და ბაგირის გადაჭიმვაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ როგორც უნივერსიტეტელები, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის 1978 წლის ფალავნის წოდება ე. დამადაევმა მოიპოვა.

სურათზე: ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების მომენტი.

ა. არაბულის ტექსტი და ფოტო.

# გამაჯანსაღებელ მუშაობას — მუდმივი ზრუნვა

გუშინწინ თბილისში მუშაობა დაამთავრა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან, კულტურისა და დასვენების პარკებთან არსებული სპორტულ-ტექნიკური კლუბების, სპორტული სექციებისა და პედაგოგ-ორგანიზატორთა რესპუბლიკურმა თათბირ-სემინარმა, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტის ინიციატივით გაიმართა. სემინარი ორ დღეს გრძელდებოდა.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ქველიაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა შუქზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის როლსა და მნიშვნელობაზე.

თათბირ-სემინარზე მოხსენებებითა და ინფორმაციებით გამოვიდნენ: საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი გ. მძელური — „საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ფორმები და მეთოდები“; საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე რ. ღარიბაშვილი — „კომკავშირის კომიტეტების როლი საცხოვრებელ მასივებთან და მიკრორაიონებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში“; საქართველოს პროფსაბჭოს მეთოდკაბინეტის უფროსი გ. ფარცვანია — „სპორტსაზოგადოებების როლი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივ მუშაობაში“.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მეთოდისტმა ო. ვახტანგიშვილმა ილაპარაკა საბინაო კომუნალური მეურნეობის როლზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

თათბირმა მოისმინა, აგრეთვე, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ო. კალაძის ინფორმაცია „თბილისში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ჩატარების პრაქტიკა“; „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო და მასობრივ-სპორტული მუშაობის განყოფილების უფროსის ვ. ჩოლარიას გამოსვლა „დინამოს“ ფიზკულტურული, ორგანიზაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მუშაობა ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში მისაზიდად“.

საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ო. მეიფარიანმა ილაპარაკა თემაზე — „საცხოვრებელ მასივებთან და მიკრორაიონებში სამხედრო-ტექნიკური კლუბების დანერგვისა და მათი მუშაობის ორგანიზაცია“, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის კათედრის გამგემ რ. სვანიშვილმა — საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შექმნილ სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში მომეცადინეთა საექიმო კონტროლისა და სამედიცინო დაკვირვების ორგანიზაციაზე.

საინტერესო იყო თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ო. კვანტალიანის გამოსვლა „ვ. სანეევის სახელობის სპორტკლუბის მუშაობის პრაქტიკა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის საქმეში“. ვაკის კულტურისა და დასვენების პარკთან არსებული გამაჯანსაღებელი ჯგუფის მუშაობის პრაქტიკაზე ილაპარაკა ამ ჯგუფის ხელმძღვანელმა ნ. როინიშვილმა, ხოლო საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბ. თავართქილაძემ თათბირ-სემინარის მონაწილეებს გააცნო „ჯანმრთელობის ჯგუფების, ათლეტური ტანვარჯიშისა და დამოუკიდებლად მომეცადინე პირებისთვის ორგანიზაციულ-მეთოდური რეკომენდაციები“.

თათბირ-სემინარის მონაწილეები ადგილზე გაეცნენ 26 კომისრის რაიონის სახალხო საბჭოსთან შექმნილ „ვ. სანეევის სახელობის სპორტული კლუბის“ მუშაობას.

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

28 აპრილს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ზარია“ 2:1. მოსკოველებმა გამარჯვებას მიაღწიეს ორი გატანილი პენალტის წყალობით (წერეთელი, კაზაჩონოკი).

„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ 3:0. კიეველებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი. მათ მხრივ ბურთები გაიტანეს ონიშჩენკომ, ბლოხინმა და ბურიაკმა (პენალტი). გაფრთხილებები მიიღეს მოსკოველმა ბულგაკოვმა და კიეველებმა ბურიაკმა და რეშკომ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ | 4 | 3 | 1 | 0 | 8—0 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 4 | 3 | 1 | 0 | 6—2 | 7 |
| „შახტიორი“ | 3 | 3 | 0 | 0 | 6—2 | 6 |
| „ზენიტი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 6—7 | 5 |
| „ქაირათი“ | 4 | 2 | 1 | 1 | 6—8 | 5 |
| „ლოკომოტივი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 6—6 | 4 |
| „ზარია“ | 4 | 2 | 0 | 2 | 5—5 | 4 |
| ცსკა | 4 | 2 | 0 | 2 | 4—4 | 4 |
| „დინამო“ კ. | 4 | 1 | 1 | 2 | 4—3 | 3 |
| „დინამო“ მ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „პახთაქორი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 8—9 | 3 |
| „ჩერნომორეცი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4—5 | 3 |
| „არარატი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 2—3 | 3 |
| „დნეპრი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2—5 | 2 |
| „სპარტაკი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2—7 | 2 |
| „ნეფთჩი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 1—4 | 1 |

## I ლიგა

28 აპრილს ქუთაისში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკს“ შორის. შეხვედრა მოიგეს სპარტაკელებმა ანგარიშით 2:1.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ასკ (დონის როსტოვი) — „კარპატი“ (ლვოვი) 2:1, „თერგი“ (გროზნო) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინნიკი“ (იაროსლავლი) 1:2, „პამირი“ (დუშანბე) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:0, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „დინამო“ (მინსკი) 2:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — ასკ (ოდესა) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნისტრუ“ | 4 | 3 | 1 | 0 | 7—1 | 7 |
| „დინამო“ მნ. | 5 | 3 | 1 | 1 | 11—6 | 7 |
| „ყუბანი“ | 4 | 3 | 1 | 0 | 7—2 | 7 |
| ასკ რ. | 5 | 2 | 3 | 0 | 8—5 | 7 |
| „შინნიკი“ | 5 | 2 | 3 | 0 | 6—3 | 7 |
| „კარპატი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 7—5 | 6 |
| „ტავრია“ | 5 | 2 | 2 | 1 | 6—4 | 6 |
| „თერგი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 6—6 | 6 |
| „ჟალგირისი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 5—4 | 5 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 6—6 | 5 |
| „ტორპედო“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7—8 | 5 |
| „პამირი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 3—4 | 5 |
| „სპარტაკი“ ორ. | 5 | 2 | 0 | 3 | 6—7 | 4 |
| „სპარტაკი“ ი.-ფ. | 4 | 1 | 2 | 1 | 2—3 | 4 |
| „დინამო“ ლ. | 5 | 1 | 1 | 3 | 8—10 | 3 |
| „კოლხოზჩი“ | 5 | 0 | 3 | 2 | 3—7 | 3 |
| „კუზბასი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 3—5 | 2 |
| „მეტალურგი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 4—8 | 2 |
| „ურალმაში“ | 5 | 1 | 0 | 4 | 2—9 | 2 |
| ასკ ოდ. | 4 | 0 | 1 | 3 | 3—7 | 1 |

## რაგბი

### სპორტულ ბაზებზე

**რაგბი.** ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. **დღეს.** საქართველოს თასის ფინალი. სპი — „სპარტაკი“ (ორივე — თბილისი). დასაწყისი 11 ს.



# ისინი ჯომოლუნგმაზე ოცნებობდნენ

„ჯუმბერი! კუხო! ილიკო!“ ისინი მთელმა ერმა დაიტირა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

ქართული ალპინიზმის მემატიანე და არა მხოლოდ ქართული ალპინიზმისა, გვერდს ვერ აუვლის ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ილიკო გაბლიანის სახელებს. ეს დიდებული სამეული მოვლენა იყო ალპინიზმში. მთიდან თითქმის ისე არ დაბრუნდებოდნენ, „ოქრო-ვერცხლი“ არ ჩამოეტანათ. მაგრამ ეს იმდენად არ გვაოცებს, რამდენადაც ის საოცრად დიდი სიყვარული, რომელიც მათ მოიპოვეს თავიანთი მეგობრების, ნაცნობებისა თუ უცნობების გულში. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა საქართველოს ალპურ კლუბში ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ილიკო გაბლიანის ხსოვნის საღამო ჩატარდა.

დარბაზში ტევა არ იყო. საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენიებდნენ სამ დიდ სპორტსმენს მათი ნაცნობები და მეგობრები.

ჯუმბერი კარგი მოკრივე იყო. ჭაბუკთა შორის ბადალი არ ჰყავდა მთელს საბჭოთა კავშირში. მაგრამ მწვერვალზე ერთხელ ასულმა, სამუდამოდ შეიყვარა მთები.

თეიმურაზი კარგი მოცურავე იყო. მაგრამ მოცურავეებმა დაკარგეს იგი და მთამსვლელებმა იპოვეს.

ილიკო მთის კაცი იყო და იმთავითვე მთები უხმობდნენ.

მთებმა დაამეგობრა შესანიშნავი სამეული, მაგრამ...

„ჯუმბერი! კუხო! და ილიკო! საშინელებაა!... ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია“ (გურამ თიკანაძე). სამივე შორეულ ტიან-შანში, გამარჯვების პიკის კალთებზე დაიღუპნენ, როცა მწვერვალის დაპყრობის შემდეგ ქვემოთ ეშვებოდნენ.

თოვმა უმტყუნა თეიმურაზ კუხიანიძეს, რომელიც სულ რაღაც ოცდაშვიდიოდე გაზაფხულს მოესწრო.

ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ხუთი წლით უმცროსი მეგობრისკენ გადაეშვა და თვითონაც მოსხლტა.

— ილიკო გაბლიანი ჭკვიანი და განვითარებული ადამიანი იყო, მუდამ სასიამოვნო მოსაუბრე, მთის ხასიათის ჭეშმარიტი მესაიდუმლე. მეექვსე გრძნობა ჰქონდა და არც არასოდეს ღალატობდა მას იგი.

— თეიმურაზ კუხიანიძე საოცარი ადამიანი იყო. მთაში დღიურებს წერდა. ამბობდა, სახლში გასაგზავნ წერილებს ვწერ იმაზე, რასაც განვიცდი. შინ რომ ჩავალ, ამ წერილებს ყველას წავაკითხებო. დადიოდა ჩვენს შორის თავისი გიტარით და მღეროდა, მღეროდა და ისევ მღეროდა.

— ჯუმბერ მეძმარიაშვილი მეოცნებე კაცი იყო. ამბობდა, გამარჯვების პიკზეც ავალ და კიდევ უფრო იქითაც წავალო. ის იქით — ჯომოლუნგმა ყოფილა!

ისინი ჯომოლუნგმაზე ოცნებობდნენ.

— მთაში იმისთვის კი არ დავდივართ, რომ ერთმანეთს დავენახოთ, არამედ იმისთვის, რომ ქართული საქმე გავაკეთოთ. ჯუმბერი მთიდან გამარჯვებული რომ ბრუნდებოდა, ამბობდა საქართველო ხომ გავახარეო.

სამი მეგობარი დიდ საქმეს აკეთებდა. მარტო ის რად ღირს, რომ დაღუპვის წინ ტიან-შანის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი დაიპყრეს და მას დიდი ვაჟა-ფშაველას სახელი უწოდეს.

— თეიმურაზ კუხიანიძემ, ჯუმბერ მეძმარიაშვილმა და ილიკო გაბლიანმა დიდ ქართველ პოეტს ყველაზე წადილი, თითქმის 7000-მეტრიანი მაღლობის ძეგლი [illegible] დალი, რომელიც ოდესმე აღუმართავთ პოეტისთვის.

— ახლა ტიან-შანში, დარვაზის ქედზე ამ შესანიშნავი სამეულისა და სხვათა ლაშქრობა გავიხსენოთ; როცა მათ ტაჯიკების საყვარელი პოეტების რუდაქისა და აინის სახელები უწოდეს მწვერვალებს. ამ მოვლენის შემდეგ ტაჯიკებმა ქართველების სახით ჭეშმარიტი მეგობრები შეიძინეს. თეიმურაზი, ჯუმბერი და ილიკო ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ყოველივე ამას იმ საღამოს იხსენებდნენ და ამბობდნენ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დოცენტი ო. გიგინეიშვილი, საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე, ცნობილი რუსთველოლოგი, პროფესორი და სპორტის ოსტატი ს. ცაიშვილი, ჟურნალისტები უ. ჭიჭინაძე, ი. უგულავა. მაგრამ, ცხადია, ყველაფერი ვერ გაიხსენეს.

„ჯუმბერი! კუხო! და ილიკო“!.. ისინი მთელმა ერმა დაიტირა. ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე სამარის კარამდე, დიდუბის პანთეონამდე ლამის მთელმა საქართველომ მიაცილა. ილიკო გაბლიანის ცხედარი კი შორეულ ტიან-შანში, გამარჯვების პიკის კალთებზე, თითქმის 7000 მეტრის სიმაღლეზე დარჩა.

ეს მოხდა 1961 წელს.

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათებზე: ჯ. მეძმარიაშვილი, ი. გაბლიანი და თ. კუხიანიძე.

## გამოხმაურება წერილზე: „რატომ გვეკარგება ტალანტები?“

# მიდიან, როდესაც უნდა მოდიოდნენ

მინდა გამოვეხმაურო თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის დირექტორის შ. მერკვილაძის წერილს. აი, უკვე 10 წელიწადზე მეტია არ გამიცდენია ნორჩ ფეხბურთელებთან მომუშავე მწვრთნელების რესპუბლიკური თუ საკავშირო კონფერენციები, სადაც მონდომებით და ენერგიულად ვლაპარაკობთ ხოლმე ერთსა და იმავეს. ძირითადად აღინიშნება ნაკლოვანებანი, ლაპარაკია პრობლემებზე, მაგრამ იშვიათად რომ დაისახოს კონკრეტული გზები ამ პრობლემათა გადასაწყვეტად.

სასწავლო პროგრამები რომ მეცნიერული გაგებით არალოგიკურია და დანიშნულებას მაინცდამაინც ვერ ამართლებს, არაერთხელ დაუწერიათ ცნობილ თეორეტიკოსებს სავინს, არტუხოვს, მოროზოვს, არესტოვს და სხვებს, მაგრამ ვერც პრაქტიკულად და ვერც თეორიულად (ყოველი მათგანი მუშაობს ან მუშაობდა ექსპერიმენტულ ჯგუფებთან) მათაც ვერ გვიჩვენეს გზები პრობლემათა გადასაწყვეტად.

წელს შევიტყვეთ, რომ ტარდება საკავშირო პირველობა 18-დან 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის. სასიხარულოა, რომ დაინტერესდნენ ამ ასაკის ჭაბუკებით, მაგრამ ნაკრებ გუნდში ხომ მხოლოდ 17 ფეხბურთელი მონაწილეობს, ეს ციფრი კი ძირითადად შეივსება მათგან, ვინც ოსტატთა გუნდებში ირიცხება. რა ქნან დანარჩენმა ჭაბუკებმა? მათ ხომ ფეხბურთის სკოლები უკვე დაამთავრეს და „დინამოში“ ვერ მოხვდნენ, ოსტატთა სხვა გუნდი კი თბილისში არაა. სწავლას ხომ ვერ მიატოვებენ და არ წავლენ ლანჩხუთში, ზუგდიდში, გორში, სამტრედიაში, ბათუმსა და სოხუმში? ჭაბუკობის ასაკი კი უფრო „შემცირდა“, ვინაიდან მოზარდი, რომელსაც 18 წელი შეუსრულდება აგვისტომდე, მონაწილეობას ვერ მიიღებს ჭაბუკთა პირველობებზე. რომ გავშიფროთ: 31 ივლისს დაბადებული უკვე „მამაკაცია“, ხოლო პირველ აგვისტოს დაბადებული კი უფლებამოსილია ითამაშოს ჭაბუკთა პირველობებში.

ჩემი აზრით, შ. მერკვილაძის მიერ წამოჭრილი საკითხი მეტად აქტუალურია. კაცი, რომელსაც აქვს ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, რომელიც დღიდან დაარსებისა მუშაობს ცნობილ 35-ე სკოლაში, რომლის თვალწინ აღიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები, ალბათ ხშირად დაუსვამდა თავს კითხვას, თუ რატომ იკარგება ამდენი ფეხბურთელი. შ. მერკვილაძის წერილში დავინახეთ ჭეშმარიტება, რომელმაც უნდა ჰპოვოს მხარდაჭერა, გადაწყვიტოს ყველაზე აქტუალური პრობლემა ბავშვთა ფეხბურთში.

საფეხბურთო სკოლების უამრავი აღზრდილი იკარგება ფეხბურთიდან. იკარგება იმიტომ, რომ იმ რეგლამენტით, რაც გაგვაჩნია სკოლების პროგრამებში, ვერ ვასწრებთ სწავლების პროცესიდან გადავიდეთ სრულყოფისა და დახვეწის პროცესზე. სწორედ მაშინ, როდესაც უნდა მოხდეს ჭაბუკის მიერ შესწავლილი ტესტებისა და ჩვევების სრულყოფა და დახვეწა, ისინი უკვე მიდიან ჩვენგან. ბედმა თუ გაუმართლა და მოეწონათ (ასეთი კი მეტად მცირე ნაწილია), არც ამ „იღბლიანებს“ აქვთ მაინცდამაინც დიდი შანსი ოსტატთა გუნდში მოხვედრისა. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს გასცემენ ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, სპორტული მედიცინის მუშაკები და ბავშვთა მწვრთნელები, ოსტატთა გუნდების მწვრთნელებს კი ერთი ტრაფარეტული პასუხი აქვთ: „ვინაიდან მხოლოდ თითო-ოროლა მწვრთნელი მუშაობს ბავშვებთან დამაკმაყოფილებლად, ამიტომ არა გვყავს ცვლა და ამიტომაც ჩამოვრჩებით მოწინავე ფეხბურთის ქვეყნებს“... მორჩა და გათავდა, გზები ნაპოვნია, პრობლემები აღარ არსებობს! მაგრამ ეს აზრი ხომ ყოველგვარ ობიექტურობას მოკლებულია? განა 8 კლასდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობიან? აქვთ კი ოსტატთა გუნდების მწვრთნელებს დრო და სურვილი, რომ წვრთნის პროცესში და თამაშებზე ყურადღება მიაქციონ ჭაბუკთა ასაკობრივ (ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ფსიქოლოგიურ) შესაძლებლობებს? განა მათ აქვთ დრო შესაძლებლობა მისცენ ჭაბუკს განავითაროს სწორედ ის ძლიერი მხარე, რისთვისაც მოეწონათ იგი, რითაც გამოირჩეოდა თანატოლებში? ვინ აპატიებს ინიციატივას და იმპროვიზაციას — მწვრთნელი თუ უფროსი პარტნიორი? თბილისში ფეხბურთის 5 სკოლაა, მათგან მხოლოდ „განთიადს“ აქვს შესაძლებლობა დაიტოვოს 18-20 წლის ჭაბუკები და ათამაშოს რესპუბლიკის პირველობაზე. თუ ასეთივე პირობებს შევუქმნით დანარჩენ 4 სკოლასაც, მაშინ უსათუოდ გამდიდრდება და გაძლიერდება ჩვენი ფეხბურთი. ვერც კეთილმოწყობილი ბაზები და მდიდარი ინვენტარი, ვერც პედაგოგთა თავდადება და ფანატიზმი, ვერც თეორიულად უფრო სრულყოფილი პროგრამები, ვერც ეზოსა და ქუჩის ფეხბურთი ვერ გადაჭრის ყველაზე დიდ პრობლემას, თუ მომავალში არ იქნება ისე, როგორც ფიქრობს შ. მერკვილაძე და მრავალი მისი კოლეგა.

მე წლების მანძილზე ვმუშაობდი გორის „დილას“ მოსამზადებელი ჯგუფებისა და გორის რაიონის „ქართლის“ უფროს მწვრთნელად ერთდროულად. უფროსი ასაკის ჭაბუკებს თავისუფლად ვაძლევდი შესაძლებლობას ეთამაშათ „ქართლის“ ძირითად შემადგენლობაში. ძირითად ამოცანად ვსახავდით მიგვეცა მოთამაშეები გორის „დილისთვის“ და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებებისთვის, ამასთან შეგვენარჩუნებინა ადგილი პირველ ჯგუფში. ჩვენმა აღზრდილმა ჭაბუკებმა მალე შეადგინეს ძირითადი ჯგუფი „დილის“ შემადგენლობაში, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებში მრავალი გორელი ჭაბუკი თამაშობდა. მათ არაერთხელ იზეიმეს გამარჯვებები „სიჭაბუკის თასზე“ და „იმედის თასზე“, ხოლო ვ. კოზინმა, ე. ბერიკაშვილმა, ვ. ხანიშვილმა, ვ. ჯებისაშვილმა, რ. მამესწარაშვილმა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვეს საპრიზო ადგილები საერთაშორისო ტურნირებზე. აღარ არის ეს პრაქტიკა ქ. გორში და I ჯგუფი დატოვა „ქართლმა“, ბეწვზე გადარჩა „დილა“, ვეღარც საქართველოს ნაკრებ გუნდებში ვხედავთ გორელ ჭაბუკებს.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, რომ 18-19 წლის ჭაბუკთა პრობლემა ნომერი პირველია და ყველაზე აქტუალური ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში.

კ. თურაზაშვილი,
თბილისის „ავაზას“ მწვრთნელი-პედაგოგი.

# ნიჭი რომ ნაადრევად არ დაჭკნეს...

**ფეხბურთის** მოყვარულთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია შ. მერკვილაძის წერილმა „რატომ გვეკარგება ტალანტები?“ მასში პირდაპირაა ნათქვამი, რომ, მართალია, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი ფეხბურთელები ხშირად იგებენ საკავშირო მასშტაბის დიდ შეჯიბრებებს, ეუფლებიან თასებს და პრიზებს, მაგრამ განუხორციელებელი რჩებათ მთავარი — დიდი ფეხბურთის უზრუნველყოფა შესაფერისი ხარისხის ტალანტებით. ამ საკითხში უნდა გავერკვეთ: მართლაც, სად იკარგება ის ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობა, რომელიც მცირე ასაკში წარმატებით გამოდიოდა მწვანე მინდორზე?

რესპუბლიკის წამყვან გუნდებში შეუძლებელია ყველა იმ ფეხბურთელის მიწვევა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბავშვთა შორის, ბევრი ხვდება საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებში, აქ ისინი სჯობნიან პარტნიორებს, აღარ ზრუნავენ ოსტატობის შემდგომ ამაღლებაზე და კმაყოფილდებიან შექმნილი პირობებით. ამის გამო ასეთი ფეხბურთელები აღარ განიცდიან პროგრესს, ეცემიან ვარჯიშს. მწვრთნელიც ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს და ნიჭიერი ჭაბუკი საშუალო ფეხბურთელის კატეგორიაში გადადის.

ამას გარდა, დაბალი კატეგორიის მოზრდილთა გუნდებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, დისციპლინას, ხელმძღვანელების ზეგავლენა ფეხბურთელებზე ნაკლებია.

ჩემი აზრით, ცუდი არ იქნებოდა ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გაგვეერთიანებინა ერთ კოლექტივად, შეგვექმნა მათგან ცალკე გუნდი ისეთივე მკაცრი დისციპლინით და სასწავლო პროცესით, როგორიც უმაღლესი კატეგორიის გუნდებშია. მაშინ ნიჭი ნაადრევად არ დაჭკნება და ქართული ფეხბურთიც მიიღებს შესაფერის ცვლას.

რ. მეგრელიშვილი,
თერჯოლის რაიონი, სოფელი რუფოთი.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# დიდი განცდები

1938 წლის ნოემბერში ჰოლანდიის რადიომაუწყებლობის კომპანია „ავრომ“ მოაწყო ჭადრაკის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მატჩ-ტურნირი. მასში მონაწილეობდნენ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილი მოჭადრაკეები ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, მ. ბოტვინიკი, პ. კერესი, ს. ფლორი, რ. ფაინი და ს. რეშევსკი. მიწვეული არ იყო მხოლოდ 70 წლის ე. ლასკერი.

ამ „მომთაბარე“ ტურნირში (ყოველი ტური სხვადასხვა ქალაქში ტარდებოდა) გაიმარჯვეს ახალგაზრდებმა (მათ უკეთ გაუძლეს ხშირ მგზავრობას): I-II. კერესი (ესტონეთი, 22 წლის), ფაინი (აშშ, 24), III. ბოტვინიკი (სსრ კავშირი, 27), IV-VI. ალიოხინი (საფრანგეთი, 46), ეივე (ჰოლანდია, 37), რეშევსკი (აშშ 27), VII. კაპაბლანკა (კუბა, 50), VIII. ფლორი (ჩეხოსლოვაკია, 30).

ამ ტურნირში უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს ალიოხინი და კაპაბლანკა. მსოფლიო ჩემპიონმა მოუგო პარტია კაპაბლანკას მის დაბადების დღეს. საინტერესოა, რომ ისინი ერთმანეთს სულ 47-ჯერ შეხვდნენ, აქედან თითოეულმა მოიგო შვიდშვიდი პარტია, ხოლო 33 ყაიმით დამთავრდა.

„ავრო-ტურნირმა“ ცხადყო, რომ მსოფლიო ჩემპიონს ღირსეული მეტოქეები გამოუჩნდნენ და ისიც მზად იყო მათთან საპაექროდ. 1937 წლის დამლევს მან მიიღო ფლორის გამოწვევა. ხელშეკრულებაც დადეს, მაგრამ ფლორს ჰოლანდიაში წარუმატებლობამ და ფაშისტური გერმანიის მიერ მისი სამშობლოს ოკუპაციამ მატჩზე ხელი აღებინა.

მაგრამ დიდოსტატთა შეჯიბრების დამთავრებისთანავე ალიოხინს შეხვდა ბოტვინიკი და მატჩის თაობაზე მოელაპარაკა. მსოფლიო ჩემპიონმა თამაშზე პრინციპული თანხმობა მისცა ოღონდ სთხოვა, რომ ორთაბრძოლის დაწყებამდე ორი თვით ადრე ჩამოეყვანა მოსკოვში. საბჭოთა მთავრობამ მხარი დაუჭირა ბოტვინიკს. მაგრამ დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა გაურკვეველი დროით გადადო მატჩი.

ომის დაწყებისას ბუენოს-აირესში (არგენტინა) მიმდინარეობდა VIII საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც ევროპის ქვეყნების ყველა გამოჩენილი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბევრმა უარი თქვა შინ დაბრუნებაზე (მ. ნაიდორფმა, გ. შტალბერგმა, ე. ელისკაზესმა, გ. პილნიკმა და სხვ.) და არგენტინაში დაიდო ბინა.

ასე არ მოიქცა ალიოხინი, რომელსაც ოლიმპიადაში პირველ დაფაზე კაპაბლანკამ აჯობა. რის ვაი-ვაგლახით დაბრუნდა საფრანგეთში. ფიქრობდა, რომ ომს გადაურჩებოდა, მაგრამ მოტყუვდა. საშინელ გაჭირვებაში აღმოჩნდა. უფულობა და შიმშილი დამოკლეს მახვილივით დაადგა თავს.

სწორედ ამ დროს ალიოხინმა გაუგზავნა კაპაბლანკას ბარათი, რომელშიც წერდა რომ თანახმა იყო შეხვედროდა მას მატჩში მსოფლიო პირველობაზე, მისთვის ხელსაყრელ პირობებში, ოღონდ გამიყვანეთ ამ ჯოჯოხეთიდანო. მაგრამ კაპაბლანკამ, რომელიც მასზე ძალიან განაწყენებული იყო, არ უპასუხა მანამდე ალიოხინი შეგნებულად არიდებდა თავს მასთან მატჩ-რევანშის თამაშს. ორივე მოჭადრაკე იხე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ 1927 წლიდან ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. კაპაბლანკა გარდაიცვალა 1942 წლის 8 მარტს ნიუ-იორკში.

განსაცდელში მყოფ ალიოხინს ისღა დარჩა, მონაწილეობა მიეღო ნაცისტების ტურნირებში, რასაც მისგან მოითხოვდნენ და აქ მიღებული პრიზებით ერჩინა თავი. მსოფლიო ჩემპიონი მუდამ იმარჯვებდა, მაგრამ მეტოქეებად უმეტესად მეორეხარისხოვანი მოჭადრაკეები ჰყავდა.

მისი მრავალი ცდა, როგორმე გასცლოდა ფაშისტურ გერმანიას, ბოლოს, 1943 წელს, წარმატებით დაგვირგვინდა. ალიოხინმა შეძლო ჯერ ესპანეთში, მერე პორტუგალიაში გადასვლა.

მარტოხელა, ღარიბი ალიოხინი პორტუგალიელ თაყვანისმცემელთა დახმარებით ცხოვრობდა. აქ შეიტყო მან, რომ ომმა ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე იმსხვერპლა.

1941 წლის 13 იანვარს ნიუ-იორკში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ლასკერი. გერმანიაში ფაშისტების მოსვლის შემდეგ ლასკერი სსრ კავშირში დასახლდა. 1937 წელს იგი მეუღლითურთ გაემგზავრა ჰოლანდიაში ეივე — ალიოხინის მატჩ-რევანშზე დასასწრებად, იქიდან ამერიკაში ჩავიდა, შვილიშვილის ქორწილზე. ნიუ-იორკში მეუღლე შეუძლოდ გაუხდა, რაც გამორიცხავდა შორეულ მგზავრობას და ლასკერიც ამერიკაში დარჩა. აქ ახდა მისი შიში, რომ მოხუცებულობაში ლუკმა პურისთვის მოუწევდა ბრძოლა. მართლაც, დაუძლურებული ლასკერი ლექციებით და დამღლელი ერთდროული თამაშის სეანსებით ირჩენდა თავს. ლასკერი იყო გოლიათი, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჭადრაკის ისტორიას. — წერდა ალიოხინი.

ომის დამთავრებისთანავე საჭადრაკო ცხოვრება განახლდა. 1945 წელს გადაწყდა ლონდონში დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. მოწვევა ალიოხინმაც მიიღო, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონს უარის დეპეშა მოუვიდა. მას ბრალად დასდეს ფაშისტებთან თანამშრომლობა და ბოიკოტი გამოუცხადეს.

მერე გახდა ცნობილი, რომ ამ ობსტრუქციის სულისჩამდგმელებს სურდათ აეკრძალათ ალიოხინისთვის ტურნირებში მონაწილეობა, ჩამოერთმევათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ეივე — რეშევსკის მატჩში გაეთამაშებიათ იგი.

ამ ამბავმა თავზარი დასცა ალიოხინს. დიდმა განცდებმა შეიპყრეს იგი. სწორედ ამ ძნელბედობის დროს მიიღო მან ასეთი წერილი: „ვწუხვარ, რომ ომმა ხელი შეუშალა 1939 წლის ჩვენს მატჩს. კვლავ გიწვევთ მატჩში მსოფლიო პირველობაზე. თუ თანახმა ხართ, ველი თქვენს პასუხს, რომელშიც გთხოვთ აღნიშნოთ მისი გამართვის დრო და ადგილი. 1946 წლის 4 თებერვალი. მიხეილ ბოტვინიკი“.

პორტუგალიელი მოჭადრაკეები იგონებენ, რომ ამ წერილმა მთლიანად გამოცვალა ალიოხინი. იგი გახდა ხალისიანი, რაღაცნაირად აღგზნებული. მუდამ ლაპარაკობდა მომავალ შეხვედრაზე.

მაგრამ ალიოხინის დასუსტებულმა გულმა ვერ გაუძლო დიდ სიხარულს: 1946 წლის 25 მარტს ესტორიალის (პორტუგალია) სასტუმროში ალიოხინი გარდაიცვალა და მსოფლიო ჩემპიონად დარჩა.

თ. გიორგაძე.

## გდრ

გათამაშების ფინიშზე გრძელდება მეტოქეობა ჩემპიონობისთვის დრეზდენის „დინამოსა“ და „მაგდებურგს“ შორის.

XX ტურში ორივე პრეტენდენტმა გაიმარჯვა. დინამოელები „ფკ კარლმარქს-შტადტს“ ეთამაშებოდნენ მისივე მინდორზე და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:0. „მაგდებურგმა“ მიიღო ბერლინის „დინამო“ და მანაც მოიგო — 2:1.

20 ტურის შემდეგ დრეზდენის „დინამოს“ 32 ქულა აქვს, „მაგდებურგს“ — 1 ქულით ნაკლები. ბერლინის „დინამომ“ 26 ქულა მოაგროვა.

## პოლონეთი

პოლონეთის პირველობაზე გადამწყვეტი დღეები დადგა. ჩემპიონობის პრეტენდენტი ახლა სამია: კრაკოვის „ვისლა“, პოზნანის „ლეხი“ და ვროცლავის „შლიონსკი“.

27-ე ტურში „ვისლამ“ ოპოლეში წააგო (0:1) „ოდრასთან“. „ლეხმა“ შინ ძნელ ბრძოლაში მოიპოვა 2 ქულა ბიდგოშჩის „ზავიშასთან“ — 2:1, ხოლო „შლიონსკმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო ბიტომის „პოლონიას“ — 1:0.

ახლა „ვისლას“ 35 ქულა აქვს, „ლეხს“ — 34, „შლიონსკს“ — 33. პირველი ლიგის დატოვება ემუქრებათ ისეთ ცნობილ გუნდებს, როგორიც პოლონეთის ექს-ჩემპიონებია — „გურნიკი“ (ზაბჟე) და „რუხი“ (ხოჟუვი).

## ჩეხოსლოვაკია

ლიდერობას ჯერჯერობით ერთმანეთს მხოლოდ ორი გუნდი ეცილება: ბრნოს „ზბროიოვკა“ და პრაღის „დუკლა“. მათ 31-31 ქულა აქვთ 22 ტურის შემდეგ. 27 ქულით მესამე ადგილზეა კოშიცეს „ლოკომოტივი“. ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტური დარჩენილი.

## იტალია

27-ე ტურში მარცხი იგემა მილანის ორივე კლუბმა. „ინტერი“ სტუმრად დამარცხდა (1:2) „პესკარასთან“. ბერგამოს „ატალანტა“ „სან-სიროს“ სტადიონზე არ შეუშინდა „მილანს“ და როდესაც თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, სტუმრების მცველის ტავოლას დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „ატალანტას“ — 1:0. „იუვენტუსი“ სტუმრად ეთამაშებოდა „ბოლონიას“ — 1:1. „ტორინომ“ შინ ანგარიშით 1:0 მოუგო რომის „ლაციოს“.

27 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 39 ქულა აქვს და მტკიცედ ლიდერობს. II ადგილისთვის ერთმანეთს ეცილებიან „ტორინო“ (36 ქულა), ვიჩენცის „ლანეროსი“ (35) და „მილანი“ (34).



## ბულგარეთი

პირველ ხუთეულში სოფიის 4 გუნდია, რომლებსაც მეტოქეობას უწევს პლოვდივის „თრაკია“. 22-ე ტურში ცენტრალური შეხვედრა სოფიის „ლოკომოტივსა“ და ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს“ შორის დამთავრდა ფრედ — 0:0. ახლა „ლოკომოტივს“ 31 ქულა აქვს, არმიელებს — 30. III ადგილზეა სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“ (27 ქულა).

## რუმინეთი

25 ტურის შემდეგ შეიქმნა მეტად ორიგინალური სიტუაცია — განსხვავება ლიდერსა და მე-16 ადგილზე მყოფ გუნდს შორის სულ 8 ქულაა (ჩემპიონატში 18 გუნდი მონაწილეობს), ამიტომ ყოველ ტურს დიდი სიახლეები მოაქვს.

30 ქულით პირველ ადგილზე მყოფ „სპორტულს“ (ბუქარესტი) ჯერჯერობით ყველაზე რეალურად ემუქრებიან ტიმიშოარის „პოლიტექნიკა“ — 29 ქულა, ბუქარესტის „სტიაუა“ და ტირგუ მურეშის ასა (28 ქულა თითოეულს).

## იუგოსლავია

ჩემპიონობისთვის მხოლოდ ბელგრადის გუნდები „პარტიზანი“ და „ცრვენა ზვეზდა“ იბრძვიან. „ჰაიდუკსა“ და ზაგრების „დინამოს“ პრეტენზია აქვთ III ადგილზე.

26-ე ტურში „პარტიზანმა“ სძლია ტიტოგრადის „ბუდუჩნოსტს“ — 1:0, „ცრვენა ზვეზდამ“ სტუმრად ქულა დაკარგა „ოსიეკთან“ (0:0). ახლა „პარტიზანს“ 41 ქულა აქვს, „ცრვენა ზვეზდას“ — 39.

## ბელგია

32-ე ტურის დიდი მოულოდნელობა იყო შარშანდელი ჩემპიონისა და ახლანდელი ლიდერის „ფკ ბრიუგეს“ მძიმე მარცხი (0:3) სტუმრად „ბერინგენთან“. ასეთივე ანგარიშით „ანდერლეხტმა“ სძლია „შარლერუას“, ხოლო ლიეჟის „სტანდარდმა“ სტუმრად მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო „ლოკერენთან“ — 3:1.

32 ტურის შემდეგ „ფკ ბრიუგეს“ 48 ქულა აქვს, „ანდერლეხტსა“ და ლიეჟის „სტანდარდს“ — 46 ქულა თითოეულს. დანარჩენი გუნდები საგრძნობლად ჩამორჩებიან.

## ჰოლანდია

32-ე ტურში „ჰაარლემის“ გამა... (1:0) „პსვ“ ეინდჰოვენთა... მხოლოდ პირველისთვის ჰქონდა მნ... შენელობა, ვინაიდან „ეინდჰოვენ... კარგა ხანია უკვე ჩემპიონია. სამა... ეროდ, მეორე ადგილის ბედი კვ... ვინლებურად გაურკვეველია.

32 ტურის შემდეგ „პსვ ეინდ...ვენს“ 51 ქულა აქვს, „ალკმაარს“ — 44, ამსტერდამის „აიაქსსა“ და ... ხედეს „ტვენტეს“, რომლებსაც თი... მატჩი გამოტოვებული აქვთ, შე... მისად 43 და 42 ქულა.

## ინგლისი

მორიგი მატჩი ლიდერმა „ნოტ...ჰემ ფორესტმა“ შინ ფრედ (1:... ითამაშა „ლიდს იუნაიტედთან“. ... 36 თამაშის შემდეგ 56 ქულა აქ... 3 თამაშით მეტი ჩაატარა და 4 ქ... ლით ნაკლები მოაგროვა „ევერტ...მა“. საპრიზო ადგილების პრეტენდ...ნტები არიან, აგრეთვე, „არსენალი“ შარშანდელი ჩემპიონი „ლივერპ...ლი“, „მანჩესტერ სიტი“ და „კოვე...ტრი სიტი“.

## შოტლანდია

„აბერდინი“ ან „გლაზგო რეინჯე...რსი“. ასე დგას ახლა შოტლანდი... ჩემპიონობის საკითხი. „აბერდინს“ 34 თამაშიდან 50 ქულა აქვს, „გლაზგო რეინჯერსს“ — 33 თამაშიდა... 49 ქულა. III ადგილზე მყოფი „დანდი იუნაიტედი“ მათ ვერავითა... საფრთხეს ვერ შეუქმნის, ვინაიდან 3... თამაშიდან მხოლოდ 36 ქულა აქ...

## ავსტრია

33-ე ტურში ვენის „აუსტრიამ“ შინ ანგარიშით 6:1 სძლია საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტს „შტურმს“ (გრაცი). ვენის „რაპიდმა“, თუმცა წააგო (1:2) თავისივე ქალაქის „ვიენასთან“, მაგრამ მაინც ინარჩუნებს მეორე ადგილს.

33 თამაშის შემდეგ „აუსტრიას“ 51 ქულა აქვს, „რაპიდს“ — 38, ინსბრუკის „სვაროვსკი-ვაკერს“ — 35, გრაცის „შტურმს“ — 34.

## საბერძნეთი

ათენის აეკ-ი 30 ტურის შემდეგ 48 ქულით მტკიცედ ლიდერობს — 7 ქულით უსწრებს პირეოსის „ოლიმპიაკოსსა“ და სალონიკის პაოკ-ს. 37 ქულით IV ადგილზეა შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი ათენის „პანათინაიკოსი“.

## ჩემპიონატები, მატჩები, ტურნირები

## ჰოკეი

პრაღაში ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მესამე დღეს, 28 აპრილს, ორი შეხვედრა გაიმართა. ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს ფინელებს 6:4, ხოლო კანადელებმა — გდრ-ის წარმომადგენლებს 6:2.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის გუნდებს 4-4 ქულა აქვთ, კანადასა და ფინეთს — 2-2, გფრ-ს, აშშ-სა და გდრ-ს — 0.

## ჭადრაკი

### როცა თამაში განახლდა

გუშინწინ საქართველოს ვაჟთა 39-ე ჩემპიონატის დასკვნითი ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ჩემპიონის სახელის ერთ-ერთმა მაძიებელმა დ. გიდევანიშვილმა ვერ სძლია ლ. ნეუმონოვს (ბათუმი) და ყაიმს დასჯერდა. ყაიმზე შეთანხმდნენ აგრეთვე, ა. შახტახტინსკი (სოხუმი) — ი. ცქიტიშვილი.

ქულანახევარი მოაგროვა დ. ჩაჩიბაიამ, რომელმაც მოუგო რ. კაპანაძეს და დაუზავდა გ. მაჭარაშვილს.

16 ტურის შემდეგ გ. ზაიჩიკს 14 ქულა აქვს, ზ. სტურუას, დ. გიდევანიშვილს — 13,5-13,5, ე. უბილავას — 11,5, ი. ჩიქოვანს — 11, ნ. იოსელიანს — 10, რ. კაპანაძეს, გ. მაჭარაშვილს — 8-8.

## მძლეოსნობა

ნოქსვილი (აშშ). აქ გამართულ ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე რ. მეჰემიამ 110 მეტრზე თარჯრბენში 13,4 წამი აჩვენა.

5000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა კენიელმა ჰ. რონომ იუჯინის სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა საკმაოდ მაღალი შედეგით (8.14,75) მოიგო.

ამჰერსტის (აშშ) სტადიონზე ჯ. მერინმა 2 მილი 9 წუთსა და 49,6 წამში გაირბინა. ეს ამ ქვეყნის ახალი რეკორდია.

ნიუ იორკი ტრადიციულ ბოსტონის მარათონში გაიმარჯვა 30 წლის ამერიკელმა ბ. როჯერსმა, რომელმაც დისტანცია 2:10.13-ში დაფარა. ეს შედეგი 18 წამით ჩამორჩება მის მიერ სამი წლის წინათ დამყარებულ ტრასის რეკორდს.

ამჯერად სტარტზე გამოვიდა 27 ქვეყნის 4672 მონაწილე, რომელთა შორის იყვნენ როგორც ცნობილი ათლეტები, ისე უბრალოდ რბენის მოყვარულები (შეჯიბრებაში 227 ქალი მონაწილეობდა). მსურველთა რიცხვის შეზღუდვის მიზნით, ორგანიზატორებმა დააწესეს საკვალიფიკაციო ნორმატივი: ვაჟებისთვის — 3 საათი, ქალებისთვის — 3 საათი და 30 წუთი.

წლევანდელი გარბენი შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა. გამარჯვებულს მეორე პრიზიორი (24 წლის ამერიკელი ჯ. უელსი) მხოლოდ 2 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გასული ფინელი ე. ტიკანენი კი — წუთით. ქალებში ყველას აჯობა ტელევიზიის დიქტორმა, 33 წლის გ. ბერონმა (2:44.52).

30 წლის როჯერსი მეორედ შეამკეს დაფნის გვირგვინით. საინტერესოა, რომ 1977 წლის აპრილიდან მოყოლებული როჯერსმა 5-ჯერ გაიმარჯვა მარათონულ ტრასებზე. (საკდესი).

## „სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მეჩვიდმეტე ტირაჟისა, რომელიც 26 აპრილს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის — 1911, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 81, ოთხისთვის — 56, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება — 3142 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 94, ოთხისთვის — 69, სამისთვის — 3.

გუშინ მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეჩვიდმეტე ტირაჟი.

პირველი: 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ძიუდო), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 22 (ცურვა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი).

მეორე: 7 (ველოტრეკი), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 29 (ტყვიის სროლა), 36 (შაშხანის ჰოკეი).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 მაისს.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10002